საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-571

07/07/2020

ქ. თბილისი

სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ 110/35/10 კვ ძაბვის ქვესადგურის „გამარჯვება“ და 35 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის „გამარჯვება-ვაზიანი“ მშენებლობა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“, მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის II დანართის მე-3 პუნქტის 3.4 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ 110/35/10 კვ ძაბვის ქვესადგურის „გამარჯვება“ და 35 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის „გამარჯვება-ვაზიანი“ მშენებლობა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნა N60 (03.07.2020);
2. სს „ენერგო-პრო ჯორჯიამ“ სავალდებულოა გზშ-ს ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N60 (03.07.2020) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და გარდაბნის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი